ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2782562

ნომერი: AR1432436

თარიღი : 16.08.2016

გაცემის თარიღი : 17.08.2016

გაცნობის თარიღი : 17.08.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 77 , (ნაკვ. 023/079) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით სივსივაძე პ/ნ 38001031734
- საჩხერე რ.ჯაფარიძის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ დღეისათვის მოქმედი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით გათვალისწინებულია ტერიტორიების ძირითადი და სპეციალური ზონალური შეთანხმებით დასაშვები გამოყენების სახეობები. ამავე წესების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველა ქვეზონისათვის, გარდა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონისა, სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებით დასაშვებ სახეობას წარმოადგენს ზონის ან/და ამ ზონაში დასაშვები შენობა-ნაგებობის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხაზობრივი ნაგებობები ან/და დამხმარე ან/და დროებითი შენობა-ნაგებობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ღობის და დროებითი დამხმარე ნაგებობის მოწყობა საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას. ამავე წესების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, ნებართვის მაძიებელმა სპეციალურ ზონალურ შეთანხმებაზე შესაბამისი, დასაბუთებული მოთხოვნა უნდა დააფიქსიროს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მიღებაზე განცხადებაში ან საჭიროების შემთხვევაში, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ განცხადებაში. ვინაიდან, პირველი კლასის მშენებლობაზე სამსახურის მიერ გაიცემა არა მშენებლობის ნებართვა, არამედ წერილობითი დასტური და წერილობითი დასტურის გაცემის ფარგლებში არ ხდება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა ან არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, ამ ეტაპზე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას წინამდებარე განაცხადის ფარგლებში იმსჯელოს პირველი კლასის, სპეციალური ზონალური შეთანხმების მიღების საჭიროების მქონე ღობის და დროებითი ნაგებობის განთავსების თაობაზე ან გადააგზავნოს საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოზე განსახილველად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge